საიდ. №80716/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №12-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ლითლ სიზარ ენტერპრაიზეს, ინკ“ (Little Ceasar Enterprises, Inc) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №12-03/16), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 ნოემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1938/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „PIZZA!PIZZA!” (საიდ. №80716/03) დარეგისტრირება განცხადებული მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ (43-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 ნოემბრის №1938/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად,

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი ნიშანი PIZZA!PIZZA! არ ექვემდებარება რეგისტრაციას. ნიშანი წარმოდგენილია ორჯერ ჩაწერილი სიტყვიერი ნაწილით, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფა ძახილის ნიშნებით. წარმოდგენილი ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია 43-ე კლასით განსაზღვრული მომსახურებისთვის, კერძოდ კი შემდეგი ჩამონათვლისათვის: „სასმელების და საკვების შეკვეთით დამზადება და შინ მიტანა; რესტორნის მომსახურება, კაფეტერიის მომსახურება, სასადილოების მომსახურება, წასახემსებელი ბარების მომსახურება, საკვების და სასმელის მომზადება შენობის გარეთ მიღებისათვის“. ზემოთ ჩამოთვლილ მომსახურებასთან პირდაპირ კავშირშია პიცა, ის გხვდება როგორც კაფეტერიაში, რესტორნებსა და ბარებში, ასევე მისი მიტანა ხდება შინ გამოძახებით. ამასთან, ნიშანს არ ახლავს გამოსახულება, ან სხვა განმასხვავებელუნარიანი ელემენტი, რაც უზრუნველყოფდა ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას. სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქციაა განასხვავოს ერთი საწარმოს მომსახურება მეორე საწარმოს მომსახურებისაგან, აღნიშნულ ნიშანს კი ეს უნარი არ გააჩნია. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ლითლ სიზარ ენტერპრაიზეს, ინკ“ (Little Ceasar Enterprises, Inc) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

განცხადებულ სასაქონლო ნიშანს გააჩნია საკმარისი განმასხვავებელუნარიანობა იმისათვის, რომ იგი დარეგისტრირდეს 43-ე კლასის მომსახურების ზემოთ მოყვანილი ჩამონათვლისათვის. აპელანტის პოზიციით,

განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს ცალკე აღებულ სიტყვას „PIZZA” (პიცა). ის არის კომბინაცია, რომელშიც თანმიმდევრულად არის განლაგებული სიტყვიერი ელემენტი „PIZZA“, ძახილის ნიშანი, ისევ სიტყვიერი ელემენტი „PIZZA“ და ძახილის ნიშანი. ოთხივე ელემენტი ქმნის ერთიან სიტყვიერ აღნიშვნას, რომელიც არის ფანტაზიური და არა აქვს აზრობრივი დატვირთვა. აპელანტის მითითებით, მის სახელზე ამერიკის შეერთებულ შტატებში შემდეგი მომსახურებისათვის: „რესტორნების მომსახურება”, რეგისტრირებულია ორი სასაქონლო ნიშანი „PIZZA!PIZZA!“ (რეგ. №1439558, რეგ. თარ: 1987 წლის 12 მაისი, რეგ. № 1399730, რეგ. თარ: 1986 წლის 1 ივლისი) იმ პირობით, რომ არ მოითხოვება განსაკუთრებული უფლება უშუალოდ სიტყვის „PIZZA” გამოყენებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 ნოემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ N1938/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „PIZZA!PIZZA!” (საიდ. N80716/03) დარეგისტრირებას განცხადებული მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „PIZZA!PIZZA!” (საიდ. №80716/03) არაგანმასხვავებელუნარიანია 43-ე კლასის შემდეგი მომსახურების მიმართ: „სასმელების და საკვების შეკვეთით დამზადება და შინ მიტანა; რესტორნის მომსახურება, კაფეტერიის მომსახურება, სასადილოების მომსახურება, წასახემსებელი ბარების მომსახურება, საკვების და სასმელის

მომზადება შენობის გარეთ მიღებისათვის“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს და მას არ ახლავს გამოსახულება. ამასთან, ნიშანი შედგება ორი გადაბმული სიტყვისაგან „PIZZA!PIZZA!” და ძახილის ნიშნებისაგან, სადაც სიტყვას „PIZZA“, რომელიც ნიშნავს „პიცას“, არ აქვს განმასხვავებელუნარიანობა, რადგან პიდაპირ კავშირშია 43-ე კლასის განცხადებულ მომსახურებასთან, ხოლო ძახილის ნიშნები და სიტყვათა თანმიმდევრული განლაგება ვერ ხდის ნიშანს ფანტაზიურს და შესაბამისად, ვერ სძენს მას განმასხვავებელუნარიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „PIZZA!PIZZA!” (საიდ. №80716/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ლითლ სიზარ ენტერპრაიზეს, ინკ“ (Little Ceasar Enterprises, Inc) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 ნოემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1938/03 ბრძანება.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი